

არჩევანი მხოლოდ ერთია

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 19 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “არარატი” (ერევანი) 1:0 (0:0).

“დინამო”: გოგია (გაბელია), კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ჩელებაძე).

“არარატი”: კაზარიანი, გევორქიანი, სარქისიანი, მირზოიანი, მოვსესიანი, მინასიანი (ხალაიჯიანი), ბონდარენკო, ოჰანესიანი, ს. პეტროსიანი (ფარსადანიანი), პეტროსიანი, კეროპიანი.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

გოლი გაიტანა ვ. ქორიძემ (61).

გაფრთხილებულია გევორქიანი.

დუბლიორები – 0:0.

ამ მატჩს, რომ იტყვიან, არაფერი აკლდა – სტადიონზე მოზღვავებული ბილეთიანი თუ უბილეთო გულშემატკივარი, სახიფათო მომენტები, ძლიერი დარტყმები, წაგებული თუ მოგებული დუელები, გოლი და ბოლოს გამარჯვება, ორი თვის წინათ დაკარგული ლიდერობა რომ დაუბრუნა თბილისის “დინამოს”.

ეს ყველაფერი მართლაც იყო. არ იყო მხოლოდ ცეცხლი, შნოსა და ლაზათს რომ მატებს ნებისმიერ პაექრობას.

თუმცა, ჯერ მინდორზე მომხდარ ამბებზე.

“დინამომ” არაერთხელ ნაცად და ვფიქრობ, საკმაოდ კარგად ათვისებულ სქემას მიმართა – ორი წმინდა ფორვარდი (გუცაევი, შენგელია), ოთხი ნახევარმცველი და ოთხი მცველი. მაგრამ ეს მაინც განლაგება და არავითარ შემთხვევაში არ ლაპარაკობს გუნდის შეტევით თუ დაცვით ტენდენციებზე. ალბათ იგივეს აპირებდა “არარატიც”. თუმცა სულ მალე ნ. პეტროსიანმა მეკავშირის როლი იკისრა და თბილისელთა კარის სიახლოვეს მხოლოდ ს. პეტროსიანი და დარჩა. ისიც, როგორც ჩანს, თანდათან დარწმუნდა ეულად ბრძოლის უნაყოფობაში. ეს არის, ფორვარდის მოვალეობა თუ აიძულებდა, ხანდახან მაინც ეცადა ბედი. ოჰანესიანის მცდელობასაც, ლოგიკური სახე მიეცა ერევნელთა შეტევებისთვის, ბევრი ვერაფერი მოჰყვა – ერთობ იშვიათი და გაუბედავი იყო ეს აფეთქებები. “დინამოსაგან” განსხვავებულად მოქმედებდა “არარატიც” დაცვაც. სარქისიანიც, მოვსესიანიცა და მირზოიანიც ამ მატჩში თავიანთ ძირითად მოვალეობას ასრულებდნენ. არადა, ეს მცველები სწორედ აგრესიულობით არიან ცნობილნი. სიტყვა “განსხვავებულად”, შემთხვევით არ გვიხსენებია. არა თუ შინ, მეტოქის მინდვრებზეც კი “დინამოს” ხელწერისთვის მეტად ორგანული გახდა განაპირა მცველების (ხანდახან ცენტრალურისაც) იერიში მონაწილეობა. ბუნებრივია ასე იყო ამ მატჩშიც და წინასწარვე ვიტყვით, რომ თბილისელთა უპირატესობა სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა (ნახევარდაცვისა და თავდასხმის უღიმღამო თამაშის გამო ასეთი დასკვნა სავსებით ლოგიკური ჩანს). ერთი საყურადღებო მომენტიც. ამბობენ გუნდი კარგად შეკრული რგოლებისგან აწყობილი მექანიზმიაო. აი ასეთი, კარგად შეკრული რგოლი ერთობ ძნელი აღმოსაჩენია ამ შეხვედრაში. და თუ მაინცდამაინც ვეცდებით, ეს პირველყოფილსა ერევნელ ცენტრალურ მცველთა ტანდემი – სარქისიანი და მირზოიანია. ესეც, ამ წყვილის შეთანხმებული თამაშის, ალბათ ისევე თბილისელთა ბრალია – არც თუ ისე მწვავედ მოქმედებდა “დინამოს” თავდასხმის ცენტრალური ფრონტი.

ეს არის და ეს. მინდვრის შუაგულში კი თავთავისთვის, უმეთვალყუროდ და უკონტროლოდ თამაშობენ მეტოქე ნახევარმცველები, იმდენად უმეთვალყუროდ, რომ ბონდარენკოს სულ ცოტა მონდომება დასჭირდა, რათა განუკითხავად, სადაც სურდა და როგორც სურდა ისე ევლო ბურთით.

ძალაუნებურად უნდა გავიმეორო უკვე ნათქვამი: – ამ მატჩს აკლდა ცეცხლი. მაგრამ რატომ, ვისი მიზეზით? ერთი რამ ცხადია – “არარატმა” ვერ შეძლო ბრძოლის გამწვავება. ეგრეთწოდებულ პრესინგსა (პირველი ათი წუთი) და ტოტალური ფეხბურთის ერთ-ერთ ელემენტს, ბურთის კოლექტიურ წართმევას რომ გულისხმობს, სომეხმა ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთხელ მიმართეს. მცველთა და თავდასხმელთა პასიურობაზე უკვე ვთქვით. საილუსტრაციოდ, ვფიქრობ, ესეც კმარა.

კი მაგრამ “დინამო? ხომ შეეძლოთ ქართველ ფეხბურთელებს უფრო ტემპიანი, აგრესიული ფეხბურთის ჩვენება? ალბათ.

აქ ერთხანს დავმშვიდდეთ და სხვა სამხერიდან შევხედოთ ყველაფერს.

მოპოვებულია მეტად საჭირო ორი ქულა. სამაგიეროდ არ შედგა საფეხბურთო სპექტაკლი, ასე რომ ნატრობდა “დინამოს” ათასობით ქომაგი. თქმა არ უნდა, როცა არჩევანზე მიდგება საქმე,

გულშემატკივრებსაც, სპეციალისტებსაც და თვითონ ფეხბურთელებსაც ორი ქულით გამაგრებული ლამაზი გამარჯვება ურჩევნიათ, მაგრამ...

მაგრამ დამერწმუნეთ, გუნდს, რომელსაც მხოლოდ ახლა ეწყება სიბრძნის წლები, რომელმაც უკვე დაკანონებულ და შეჩვეულ კიევურ იერარქიას გვარიანად შეურყია საფუძველი, რომელიც დინჯად, აწონ-დაწონილი და, ეჭვი არ არის, რეალური პრეტენზიებით დღეს უკვე ორ ფორნტზე იბრძვის, ასეთ არჩევანისთვის არც ეცლება და სადაც სამართალია, არც უნდა დავაძალოთ.

სწორედ რომ არ უნდა დავაძალოთ.

მატჩის შემდეგ ერთმა განაწყენებულმა მაყურებელმა წამოიძახა: “აი ის ბურთი რომ გასულიყო?” (მეორე ტაიმის მიწურულს გულისხმობდა, ბურთი ძელს რომ მოხვდა). თქმა არ უნდა, ასეთი გოლისგან არც ერთი გუნდი არ არის დაზღვეული, თანაც, მსგავსი ხელსაყრელი შემთხვევები “დინამოს” ხომ გაცილებით მეტი ჰქონდა. ხომ შეიძლებოდა ისინიც ქცულიყო გოლებად?

კიდევ ერთ ჭემმარიტებას მოვიშველიებდი. კოლექტივს, რომელიც ცხრილის შუაგულშია, არც არაფერი ემუქრება და არც არაფერი ესახება, უთუოდ შესწევს ძალა თავდაუზოგავად (ბრწყინვალედაც) ითამაშოს ერთი ან რამდენიმე შეხვედრა. ეს არის, მსგავსი მატჩები დანაშაულის გამოსყიდვას ჰგავს, რადგან მანამდეც და მერეც ჩაფლავებული ორთაბრძოლების კარგა მოზრდილი სიაა. ასეთ გუნდებს არასტაბილურებს ეძახიან და ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ასეთი თბილისის “დინამო”.. მისგან აქა-იქ მოგებული “ბრწყინვალე” მატჩების გარდა ხომ სხვა ვერაფერი სიკეთე შემოგვრჩა.

ახლა ფეხბურთის ყველა მოყვარულს ერთადერთი კითხვა აწუხებს: ეყოფათ კი ჩვენს ბიჭებს ძალა?

კაცმა არ იცის. მაგრამ იმედი არის. ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს სულისმოსათქმელი მატჩები (უფერულს რომ ვეძახით) ინახავდეს იმ ძალას, ჩემპიონატის ცხარე ფინიშიზე ჰაერივით რომ დაგვჭირდება.

ი. ბერიაშვილი.

“ლელო”, 21 სექტემბერი, 1977 წ.